

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულეტი

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

ნინო მეგენიშვილი

ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“ კოდიკოლოგიურ-
ტექსტოლოგიური ანალიზი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

მაცნე

ახალციხე

2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნესტან სულავა - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური რეცენზენტები:

დალი ბეთხოშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;

ნანა ჩიკვატია - ფილოლოგიის დოქტორი, კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი

აპოლონ თაბუაშვილი - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 5 ნოემბერს, 13:00 საათზე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი მაკა ბერიძე

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა

საქართველოს ისტორიაში შუა საუკუნეები პოლიტიკური სიჭრელითა და დრამატიზმით გამორჩეული ხანაა. სამეფოებად დაყოფილი პატარა ქვეყანა სტრატეგიულ პარტნიორს ეძებდა ყველგან – დასავლეთში, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთში. ყველა პოლიტიკურ მიმართულებას ჰქონდა გარკვეული სახის დადებითი და უარყოფითი, სარისკო მომენტებიც. აღმოსავლეთი ძველი, გამოცდილი მეტოქე იყო, ხოლო ნაცნობი პოლიტიკური გემოვნების, იდეოლოგიის, სტრატეგიისა და სამხედრო შესაძლებლობების, რუსეთი ერთ-ერთი ფავორიტი სახელმწიფო გახდა სარწმუნოებრივი ერთობის გათვალისწინებით, ევროპა კი ქართველებისთვის ჯერ საკმაოდ უცნობი კულტურის, აბსოლუტურად განსხვავებული ტრადიციებისა და რელიგიური ცნობიერების ხალხის ერთობას წარმოადგენდა. თუმცა, ამის მიუხედავად ევროპული ლიბერალიზმისა და მიზანმიმართული მისიონერული მოძრაობის გაძლიერებით ნელ-ნელა დაიწყო ქართველებში სარწმუნოებრივი რყევა მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის, განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთ რეგიონებში ე.წ. სამუსლიმანო საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოში, შემდგომ კი კათოლიკე მრევლი მომრავლდა

საქართველოს მსხვილ და სტრატეგიულ ინდუსტრიულ ცენტრებში გორში, ქუთაისში და ა.შ. ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი, უფრო კი ტენდენცია მიიღო მე-17 საუკუნეში, რასაც არც უარყოფდნენ დასავლური იდეოლოგიის მიმდევრები. მ. თამარაშვილი აღნიშნავდა: „ჩვენი აზრით, ეს საუკუნე (იგულისმება XVII ს.) უნდა შეირაცხოს კათოლიკობისათვის ერთ საუკეთესო ხანად, რადგან, როგორც ვნახეთ, პაპის ყურადღების მიქცევა და მისიონერების შრომა უნაყოფოდ არ დარჩა“. ამგვარი პოლიტიკური ორომტრიალისას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეკავა კულტურულ-საგანმანათლებლო კერას, უდიდეს აკადემიურ კორპორაციას, გარეჯის ლიტერატურულ სკოლას. იგი სამი მიმართულებით მუშაობდა: 1. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა (ხელნაწერების შექმნა-გამრავლება, ბიბლიოთეკების დაარსება, ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება). 2. ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულების დამუშავება; 3. დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის შექმნა.

XIV ს-ის ისტორიულმა მოვლენებმა, ფლორენციის კრებამ და კოსტანტინეპოლის დაცემამ სრულიად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური წესრიგი. ეპოქამ მოიტანა იმის აუცილებლობაც, რომ სწორად შეფასებულიყო მოძალადე მეტოქეც და იდეოლოგიური ოპონენტიც. ეს უკანასკნელი მისია სწორედ

პოლემიკური ლიტერატურული მიმდინარეობის ფუნქცია იყო. პოლემიკური მიმართულება მწერლობის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია, რამდენადაც ქრისტიანობას (ისევე როგორც სხვა კონფესიებს) ადრიდანვე გაუჭნდნენ მოწინააღმდეგეები, რომელთა განეიტრალება პოლემიკური მწერლობის ამოცანა გახდა. პოლემიკურ მწერლობას პასუხი უნდა გაეცა არა მარტო არაქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობებისთვის, არამედ განსხვავებული ქრისტიანული კონფესიების, მათ შორის კათოლიკეთა შემოტევებისთვისაც, დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლაში შემუშავდა სპეციალური ნაშრომის შექმნის აზრი, რომელიც ფუნდამენტური ანალიზის საშუალებით აუხსნიდა საზოგადოებას იდეურ და ტრადიციულ ნორმათა სხვაობას, კერძოდ, ეს იყო კათოლიკურ და მართლმადიდებლურ რელიგიებს შორის სხვაობის განსაზღვრა. მისი დაწერა დაევალა იმ დროისათვის ცნობილ საეკლესიო მწერალს, ბესარიონ ორბელიშვილს. მან წარმატებით გაართვა თავი დავალებას - დაწერა დიდი მოცულობის ნაშრომი, ტრაქტატი „გრდემლი“, რომელიც ყველაზე სრული ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებაა ქართულ ენაზე. წიგნში განხილულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიებს შორის არსებული დოგმატურ-თეოლოგიური საკითხები.

ნაშრომის მნიშვნელობაა იმ ისტორიული სურათის ჩვენება, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველებში დიპლომატიური, ე.წ. ლიბერალური თუ ძალისმიერი მეთოდებით, მახვილით, სისხლით რწმენის შერყევას, ქართველებში დამკვიდრებული, ჩამოყალიბებული ტრადიციების ცვლილებას, რომლის ფუნდამენტი და ხასიათი მართლმადიდებლურ დოგმატებზე, კანონებზე და ნორმებზე აშენდა, ეს კი, ფაქტობრივად, ეროვნულ გადასხვაფერებას, გარდაცვალებას ნიშნავდა. თხზულებებში ნაჩვენებია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის სხვაობის ანალიზი დოგმატურ და თეოლოგიურ კონტექსტში, ახსნილი წმიდა მამათა შრომებით, წმიდა წერილების დამოწმებითა და ბიბლიური ციტატებით. ამგვარ მსჯელობას კი უდიდესი გავლენა უნდა მოეხდინა შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირებაზე.

ნაშრომში თავმოყრილია ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც დაცულია წერილობით წყაროებსა და ბეჭდურ გამოცემებში.

ნაშრომის ფარგლებში დეტალურად შევისწავლეთ ნათარგმნი და ორიგინალური ანტიპაპისტური ძეგლები, ასევე „გრდემლის“ ნუსხები და რედაქციები, დადგენილია

ტექნოლოგიურ-ენობრივი (სინტაქსურ-მორფოლოგიურ-ფონოლოგიური) სხვაობები მათ შორის.

კვლევის მიზანი

ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“ დაიწერა ფლორენციის კრებაზე მიღებული თეოლოგიურ-დოგმატური გადაწყვეტილებების საპასუხოდ, იქ მიღებული შედეგების ასახსნელად, სადაც პუნქტობრივად და თანმიმდევრულად არის პასუხი გაცემული დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების სხვაობაზე, მართლმადიდებლური ცხოვრების საქართველოს ყოველდღიურ ეკლესიურ და ყოფით ცხოვრებაში ასახულ ტრადიციულ ნორმებზე.

პოლემიკური მწერლობის მიზანი არის მყარი არგუმენტაციის საფუძველზე პრობლემის არსის ახსნა და წარმოდგენილი პოზიციის დასაბუთება. არგუმენტაცია უნდა ყოფილიყო დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევი, ამიტომაც ამგვარ თხზულებებში მკაცრი აკადემიური ხარისხის დაცვით იზომებოდა ფრაზები და ემყარებოდა მდიდარ ინტელექტუალურ რესურსს. პოლემიკური თხზულებების ოპონენტად აღიქმებოდა არა მარტო ლიტერატორ-პოლემიკოსი, თეოლოგი ან სასულიერო პირი, არამედ მთელი სახელმწიფო ინსტიტუცია. ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა შუა

საუკუნეების ანტიკათოლიკური შინაარსის ლიტერატურული ძეგლებისთვის, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელი იყო, ჩვენ დავამუშავეთ ნაწილი და ამაჟამად გადაცემულია გამოსაცემად.

მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წამოადგენს ხელნაწერ ფონდებში დაცული ანტიკათოლიკური თხზულებებისა და ფლორენციის კრების შესახებ არსებული ცნობების თავმოყრა და ანალიზი, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე არ გამოქვეყნებულა. დისერტაციის ფარგლებში ჩვენ მიერ დამუშავდა და გამოიცა ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსის თხზულება „განდგომილებისათვის რომისა, ოდეს ისინი განდგნენ მართლმადიდებლობისაგან“ [ქრისტიანულ-არქეოგრაფიული ძიებანი, XI, 2021:34-57], ასევე გამოსაცემად გადაეცა ფლორენციის კრების ამსახველი თხზულება „ფლორენციის კრება“ [გულანი].

დღემდე არ არსებობს „გრდემლის“ სრულყოფილი ტექსტოლოგიური ანალიზი. ვინაიდან თხზულება არის მოცულობითი ტრაქტატი, ჩვენ მიერ დისერტაციის ფარგლებში ჩატარდა მისი სრულყოფილი ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღემდე არ არსებობს

„გრდემლის“ მეცნიერული გამოცემა, ამჟამად ჩვენს მიერ მზადდება გამოსაცემად მისი ე. წ. კრიტიკული ტექსტი.

დისერტაციის ფარგლებში თავი მოვუყარეთ წერილობით წყაროებსა და ბეჭდურ გამოცემებში გაბნეულ ცნობებს გარეჯის სამონასტრო და სამწიგნობრო ცხოვრებაზე, ასევე ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ცნობებს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

საკვლევი მასალის მრავალფეროვნების, „გრდემლის“ მოცულობისა (შედგება ოცდათვრამეტი თავისაგან) და მდიდარი ტექსტოლოგიური მასალის გამო (საუბარია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების თეოლოგიური შინაარსის პოლემიკაზე ფლორენციის კრებაზე), დისერტაცია წყაროთმცდნეობითი და ტექსტოლოგიური მნიშვნელობისაა. ნაშრომში განხილულია ის ისტორიული სურათი, პირობები და მიზეზები, თუ როგორ მივიდა ქრისტიანული სამყარო ფლორენციის კრებამდე და კონსტანტინეპოლის დაცემამდე. საუბარია გარეჯის ლიტერატურული სკოლის განვითარების ისტორიული ეტაპებსა და მის იდეოლოგიური როლზე, ასევე ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

დისერტაციას აქვს ტექსტოლოგიური მნიშვნელობა. კერძოდ, დისერტაციის ფარგლებში განხილულია პოლემიკური ჟანრი, ქართულ წერილობით წყაროებში დაცული

ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებები, ასევე დისერტაციის ფარგლებში შესრულებულია „გრდემლის“ შემცველი ყველა ხელნაწერის არქეოგრაფიული აღწერილობა და თხზულების ვრცელი ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური ანალიზი

ნაშრომის მოკლე შინაარსი

დისერტაციის შესავალში საუბარია პოლემიკური მწერლობის, ასევე ანტიკათოლიკური პოლემიკური მწერლობის წარმოშობის მიზეზებზე, შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში არსებულ ორიგინალურ და ნათარგმნ ანტიკათოლიკური შინაარსის პოლემიკურ თხზულებებზე; გარეჯის ლიტერატურული სკოლის მნიშვნელობაზე შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, „გრდემლის“ ნუსხებსა და რედაქციულ თავისებურებებზე, მოცემულია „გრდემლის“ დეტალური ტექსტოლოგიური ანალიზი.

I თავი. დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა და ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

სახელმწიფოს საფუძველი არის ქვეყნის იდეოლოგია. იდეოლოგიას ქმნის კულტურა, განათლება, მეცნიერება, ამიტომაც თუკი ქართული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტის

წარმომადგენლები ვერ ახერხებდნენ სახელმწიფოს გაერთიანებასა და პოლიტიკურ სტაბილიზაციას, მაქსიმალურად ცდილობდნენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერების განვითარებას. ამას მოწმობს სტამბის გახსნა თბილისში 1709 წელს, დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლის არსებობა. იმ დროისთვის ეს იყო მსხვილი სამეცნიერო კერა, თავისი ინფრასტრუქტურითა და მოღვაწეებით: კალიგრაფებით, მთარგმნელებით, მხატვრებითა და მკვლევრებით. ამგვარი სამეცნიერო სტრუქტურის არსებობა დაუძღვრებული ქვეყნისთვის ფუფუნება იყო. ხელნაწერის შექმნა დიდ ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსს მოითხოვდა. განსაკუთრებული როლი ამ უდიდეს საქმეში შეასრულა ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილმა, რომელიც მოღვაწეობდა გარეჯში, რასაც ადასტურებს **A-624** ხელნაწერის მინაწერი და მიხ. ხელაშვილი 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№208) გამოქვეყნებული სტატია.

გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გაჩენა უკავშირდება ცამეტი ასურელი მამიდან ერთ-ერთს - დავით გარეჯელს. შესაბამისად, VI საუკუნიდან ქართულ კულტურულ ველში ჩნდება ახალი კულტურული სივრცე დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომლის არსებობაც ერთი სალოცავით დაიწყო და შემდეგ სამონასტრო კომპლექსად და ლიტერატურულ სკოლად ჩამოყალიბდა. გარეჯის ცხოვრებაზე აისახა ქართული ისტორიული პროცესები, მან განსაკუთრებული ფუნქცია შეიძინა

XVIII საუკუნეში და გახდა კულტურულ-იდეოლოგიური ცენტრი. ამიტომაც თვალშისაცემი იყო სახელმწიფოს პატრონაჟი. ბესარიონ ორბელიშვილსა და მის გარემოცვას, გარეჯის მონაზვნებს, განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდათ ამ საქმეში.

საინტერესოა ბესარიონის ბიოგრაფია. ბესარიონ ორბელიშვილი იყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, რაც მთავარია, დიდი მწიგნობარი: 1. ორიგინალური თხზულებების ავტორიც, მან დაწერა: ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება „გრდემლი“, აგიოგრაფიული თხზულებები: რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა, არჩილ მეფის მარტვილობა, ისე წილკნელის ცხოვრება, ლუარსაბ მეფის მარტვილობა, ბიძინა, შალვა და ელიზბარის მარტვილობა; მას ეკუთვნის ლიტურგიკული თხზულებები: „კანონი სავედრებელი საუფლოისა კუართისა“, „კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაჟდენისა“, „კანონი ქმნილი კუართისა“.

2. ბესარიონი იყო **გადამწერიც**, რასაც ადასტურებს ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები. ჩვენემდე მოღწეული ხელნაწერი წიგნებიდან მას გადაუწერია: 1. **A-59**, კრებული, რასაც მოწმობს ხელნაწერის მინაწერი. 2. **A-105**. კრებული, 1697 წ, გადაწერილია ბესარიონ ორბელიშვილის მიერ გარეჯის უდაბნოში; 3. **A-121**, გრიგოლ რომთა ჰაპი, დიალოღონი. 1715 წ. გადამწერებად მიიჩნევიან ბესარიონი და იობი; 4. **A-178**, სასულიერო შინაარსის კრებული; 5. **A-196**, სასულიერო შინაარსის

კრებული; **6. A-198**, ევხოლოგიონი (ლოცვანი), 1696 წ. გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, გადაწერის ადგილი დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი; **7. S-3269**, სასულიერო შინაარსის კრებული, რომელსაც ჰყავს რამდენიმე გადამწერი, მათ შორის სახელდებიან იობი, ფილიპე, გადაწერილია გარეჯის მრავალმთის ეკლესიაში, ზუსტი თარიღი უცნობია; **8. Q-814**, XVIII ს. სასულიერო შინაარსის კრებული, ნაწერია შერეული დამწერლობით ნუსხურით და მხედრულით. გადამწერად მიიჩნევა ვინმე ბესარიონი, შესაძლოა გადამწერი სწორედ ბესარიონ ორბელიშვილია, რადგან ხელნაწერის ხელი ძალიან ჰგავს ბესარიონის ნაწერს.

ბესარიონ ორბელიშვილი იყო **დამკვეთიც**: აღწერილობების მიხედვით მისი დაკვეთით გადაწერილი ხელნაწერებია: **1. A-100**, ბასილი დიდი, ითიკა. 1713 წ. **2. A-103**, სასულიერო შინაარსის კრებული; **3. A-130**, სასულიერო შინაარსის კრებული; **4. H-1557**, ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, 1713 წ. **5. Q-85**, ოთხთავი. 1719 წ. მომგებელნი: მამა ხარიტონი და ბესარიონ ორბელის ძე.

ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერებით ირკვევა ისიც, რომ ბესარიონ ორბელიშვილი ყოფილა მასწავლებელიც. სწორედ ამიტომ კ. კეკელიძე ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედების და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ანალიზისას ასკვნის, რომ შესაძლოა სრულად არც იყოს მოღწეული მისი ორიგინალური თუ გადაწერილი თხზულებები.

საინტერესოა, რა ცნობები მოგვეპოვება ბესარიონ ორბელიშვილზე. წყაროებში ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის ბიოგრაფიაზე მწირია. მის მიერ გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერის (A-105) ანდერძიდან ვგებულობთ, რომ ბესარიონის მშობლებს ჰრქმევიათ ბეჟანი და მარიამი. ხელნაწერი გადაწერილია 1697 წელს, ე.ი. ამ დროისთვის ის უკვე გარეჯში იმყოფება. სხვა ცნობა მისს მშობლებზე არ მოგვეპოვება, ხოლო რაც შეეხება ბესარიონის გარეჯში მოღვაწეობას, პ. კარბელაშვილის აზრით ის გარეჯში 1680 წელს უნდა დამკვიდრებულიყო. გარეჯში მასთან ერთად მოღვაწეობდა მისი ძმა სიმონი. კიდევ რამდენი დედამამიშვილი ჰყავდა მას, ან საერთოდ ჰყავდა თუ არა კიდევ, ჩვენთვის უცნობია.

სხვადასხვაგვარი ცნობებია შემონახული ბესარიონ ორბელიშვილის საქართველოს მწყემსმთავრად კურთხევისა და გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. ცნობილია, ის კათალიკოსად ეკურთხა დომენტი კათალიკოსის ოსმალეთში წასვლის შემდეგ. მისი აღსაყდრების თარიღი მერყეობს 1724-1738 წლებს შორის. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია XIX ს-ით დათარიღებული ხელნაწერი S-2938 „სია საქართველოს კათალიკოსთა“. აქ ბესარიონი მითითებულია #52-ად, კათალიკოსად კურთხევის წელი 1724, №51 არის დომენტი კათალიკოსი, კურთხევის წელი 1705 წელი. თ. ჟორდანიას კვადრატულ ფრჩილებში მიუწერია 1741 წ, მიზეზი

გაურკვეველია, რადგან №53-ით ნახსენებია ნიკოლასი, კათალიკოსად კურთხევის წელი 1741 წელი. აქ თ. ჟორდანიას კვადრატულ ფრჩხილებში გარდაცვალების თარიღად მიუწერია 1744 წ. თითქმის მსგავსი ინფორმაცია დაცულია დოკუმენტში Sd-2351, განსხვავება არის ნუმერაციაში, აქ ბესარიონი დასახელებულია №66-ედ, №65 არის დომენტი, ხოლო №67-ნიკოლასი. პოლიევქტოს კარბელაშვილი წიგნში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ დომენტის აღსაყდრების თარიღად მიიჩნევს 1704-1724 და 1738-1742 წლებს, ბესარიონი ზეობს 1728-1735 წლებში, თუმცა 1724-1728 წლებში ის კათალიკოსად არავის ასახელებს, ბესარიონის შემდგომ კი ქართული ეკლესიის მწყემსმთავარია ოსმალეთიდან დაბრუნებული დომენტი და მხოლოდ შემდგომ 1742-1744 წწ. ზეობს ნიკოლოზ X (გვ. 131-140); ბაბილინა ლომინაძეც ბესარიონის წინამორბედ კათალიკოსად ასახელებს დომენტი კათალიკოსს [1705-1725 წლის 21 თებერვლამდე] ორი მონაცემის საფუძველზე [საქართველოს სიძველის ტ. III, 194 და Ad-142], ამის შემდგომ კათალიკოსია ბესარიონი 1725 წ-ს მარტიდან 1737 წ-მდე, გარდაცვალებამდე, ხოლო 1737 წლიდან დომენტის საქართველოში დაბრუნებამდე [1739 წლამდე] საქართველოს მწყემსმთავარია კირილე [გვ. 69-71]. საინტერესო ცნობას ინახავს კიდევ ერთი ხელნაწერი, კერძოდ, H-1362, კრებული, რომელიც დათარიღებულია XIX საუკუნით. ამ ხელნაწერის 31r-ზე ფანქრით მკრთალად წერია „1726-1738 კზი

ბესარიონ. Выписать Грдемли №422“. მინაწერთ რთული გასარკვევია, ვინ არის ამ მინაწერის ავტორი და რის საფუძველზე მიუთითებს აღნიშნულ თარიღს.

ბესარიონის კათალიკოსად ზეობის შესახებ კომენტარი გაუკეთებია თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე ტომში ზემოთ დასახელებული A-105 ანდერძის კომენტარისას: „ეს ბესარიონ 1724 წ. აღვიდა კათალიკოზობის ტახტზე და † 1735 წ.“ [ჟორდანია, 1897, გვ. 116]. საქართველოს ცენტრალურ არქივში არსებობს დოკუმენტი [ფ.1448. საქ.№955] მიწის ბოძების შესახებ, გაცემული ბესარიონი კათალიკოსის მიერ, დათარიღებული 1723 წლის 4 აპრილით. აქ ბესარიონი ნახსენებია კათალიკოსის რანგში.

აზრთა სხვადასხვაობაა ბესარიონ ორბელიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებითაც. ის გარდაიცვალა მცხეთაში და დაკრძალულია სვეტიცხოველში, საფლავის ქვაზე გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1735 წ. ეს თარიღია მითითებული **A-16** მინაწერში (გრიგოლ ღვთისმეტყელის კრებული; ცხოვრება და მოღვაწეობა გრიგოლ ღვთისმეტყველისა), ხელნაწერი თარიღდება 1739 წლით. თუმცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი ხელნაწერის **H-2077** (სადღესასწაულო, თარიღდება 1736 წლით, გადამწერია სვეტიცხოვლის დეკანოზი ალექსი) ანდერძი სხვა ინფორმაციას იძლევა, ამ ანდერძის მიხედვით 1736 წელს ბესარიონი ჯერ კიდევ ცოცხალია და მწყემსმთავრობს. ამავე მოსაზრებას იზიარებს

ვახუშტიც, რომელიც ბესარიონის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევს 1737 წ-ს. მას მიაჩნია, რომ მცხეთის საფლავებზე არა ერთი უზუსტობა გვხვდება.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რა ინფორმაციას გვაწვდის წყაროები ბესარიონ ორბელიშვილის მსოფლმხედველობის შესახებ. საყურადღებოა მამია გურიელისა და კათალიკოს ბესარიონის მიმოწერა ტყვეთა გაუსყიდველობაზე. როგორც ირკვევა, ის ჯერ კიდევ გარეჯში ბერად ყოფნისას თავად ხლებია მამია გურიელს ამ მძიმე პრობლემის გადასაჭრელად. როგორც ირკვევა შემდგომაც გაგრძელებულა მათი ერთობლივი მცდელობა ამასთან დაკავშირებით, თუმცა ამ მასშტაბური პრობლემის მოგვარება იმ დროისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა. ასევე საინტერესოა ბესარიონ ორბელიშვილის წერილი, რომელიც მან მისწერა ვახტანგ VI-ს 1733 წ-ს (**Sd-2939**), როცა გარდაიცვალა კოსტანტინე კახთ ბატონი. ცნობილია, ბესარიონ ორბელიშვილსა და ვახტანგ VI-ს განსხვავებული პოლიტიკური ხედვა ჰქონდათ. ეს წერილი კი იმის დასტურია, რომ მისთვის პირად ურთიერთობას ხელი არ შეუშლია სახელმწიფოებრივად აზროვნებაში, მეფის ფუნქციის აღქმაში. სწორედ ამის დამსახურებაა იოანე ბატონიშვილისა („კალმასობაში“) და ანტონ ბაგრატიონის („წყობილსიტყვაობაში“) მიერ ბესარიონ ორბელიშვილის ღვაწლის ამგვარი შეფასება და დაფასება.

II თავი. „გრდემლის“ ხელნაწერები და რედაქციები

ჩვენამდე მოღწეულ ფონდებში „გრდემლი“ შემორჩენილია თორმეტ ხელნაწერ წიგნში. განირჩევა ვრცელი და მოკლე რედაქციები. არსებობს ვრცელი რედაქციის ათი ნუსხა, ერთი - მოკლე რედაქციისა. თერთმეტი ნუსხიდან ექვსი - A-119, 156, 298, S-1596, 3269, K-№130 (ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახემწიფო ისტორიული მუზეუმი) - შედგება 38 თავისაგან, სამი - A-1395, 1791, Q-92, გიესმ-№114 (ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) - 37 თავისაგან, დასახელებულ ხელნაწერებს აკლია ბოლო თავი „აღმწერელი ამის წიგნისა სიტყვას უგებს პაპის მოსავთა“. ერთი - A-1591 შედგება 26 თავისაგან, მაგრამ დასახელებული ნუსხა არ არის მოკლე რედაქცია, მისმა გადამწერმა ქრისტესია სამადაშვილმა გადაწყვიტა თხზულებაში შეეტანა ყველა ის საკითხი, რაზეც მიმდინარეობდა ცხარე კამათი ფლორენციის კრებაზე და ვერ მოხერხდა შეთანხმება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების წარმომადგენლებს შორის, შემოკლებული ვარიანტის მიუხედავად, ეს ნუსხა არ არის მოკლე რედაქცია, რადგან არსებული ტექსტი უცვლელად მისდევს ვრცელი რედაქციის ავტოგრაფისეულ ნუსხას. დისერტაციაში საუბარია „გრდემლის“ სტილურ მახასიათებლებზე, ენობრივ ნორმებსა და სინტაქსურ-მორფოლოგიურ კონსტრუქციაზე.

III თავი. ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში.

ბ. ორბელიძეილის „გრდემლი“ ვრცელი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება, ტრაქტატია. ის XVIII ს-ის პოლიტიკური და სოციალური შინაარსის ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო პროდუქტია. შემოქმედებითი პროცესები დამოკიდებულია ეპოქალურ მოვლენებთან, ასე შეიქმნა ლიტერატურული ჟანრები სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, ეს გახდა პოლემიკური მწერლობის გაჩენის საფუძველი. პოლემიკური მწერლობა ქრისტიანობის, როგორც რელიგიის წარმოშობასა და სასულიერო მწერლობის დასაწყისს უკავშირდება, მას პასუხი უნდა გაეცა ერეტიკოსებისა და ერეტიკული მიმდინარეობის, ასევე, სხვა რელიგიებისა და კონფესიების წარმადგენლებისთვის, რომლებიც არღვევდნენ შვიდი საეკლესიო კრებით მიღებულ განჩინებებს. ანტიკათოლიკური თხზულებების მომრავლებასაც XVIII ს-ის ქართულ მწერლობაში თავისი იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა.

დღემდე შემორჩენილი პირველი ანტიკათოლიკური შინაარსის თხზულებაა ევსტათი ნიკიელის თხზულება „მოსაცხენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და

ეკლესიაი მათი და რაისათუს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“, რომლის ტექსტი გამოსცა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო მათა რაფავამ. თხზულება წარმოადგენს XII ს-ით დათარიღებული „დოგმატიკონის“ ნაწილს. ის უნდა წარმოადგენდეს „დიდი სქიზმის“ საპასუხოდ დაწერილ პოლემიკურ ნაწილს.

XV ს-ში, 1453 წ-ს, ბიზანტიის იმპერია დასრულდა, შესაბამისად, დასრულდა მისი კულტურული და იდეოლოგიური გავლენა დანარჩენ მარლთმადიდებელ სამყაროზე. როგორც ცნობილია, ეს კრება ჩატარდა ეტაპობრივად - 1438-1445 წლებში. როგორც არაერთი მკვლევარი (ი. უშიკიშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ა. პოგოდინი და სხვა) აღნიშნავს: „ფლორენციის კრების შესახებ წყაროები, რომელიც ლათინურ და ბერძნულ ენაზე არსებობდა - დაკარგულია“. დაკარგული თუ მიუგნებელი (გამოუვლენელი) წყაროები სხვადასხვაგვარი მსჯელობისა და ვარაუდის საფუძველს იძლევა. ფაქტია, საეკლესიო კრებაზე მსჯელობის ძირითადი თემა - თეოლოგიურ-დოგმატური საკითხები - არსებული პოლიტიკური მოცემულობის სარჩული იყო.

ქართულ ხელნაწერ ფონდში დაცულია ხელნაწერები, რომლებშიც აღწერილი და ასახულია ფლორენცია-ფერარას კრება. ძირითადად, ეს ხელნაწერები ანტიკათოლიკური პოლემიკური შინაარსისაა და ყველა მათგანი XVIII ს-ით თარიღდება, მანამდე

ქართულ მწერლობაში ანტიპაპისტური შინაარსის ერთი ნათარგმნი თხზულებს - ევსტათი ნიკიელის „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაა მათი, და რაჲსთჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“ - კვალი არ ჩანს. თხზულება დაცულია მხოლოდ არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“, რომელიც XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება. არსენ ვაჩეს ძე, იგივე არსენ იყალთოელი, რომელსაც იმ დროისთვის ფუნდამენტური ჰქონდა მიღებული. მას კარგად ესმოდა ორ ეკლესიას შორის დოგმატურ-თეოლოგიური სხვაობის მულტიკომპლექსური შინაარსი, საფუძველი და პერსპექტიული საფრთხე ქრისტიანული სამყაროსთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, ამიტომაც შეიტანა მის კრებულში ევსტათი ნიკიელის თხზულებაც.

დასავლეთის კათოლიკური სამყაროს დაინტერესება საქართველოთი და ამიერკავკასიით გაცილებით ადრე, XIII ს-დან იწყება, ცხოველდება და მისი მასშტაბები ფართოვდება შემდგომ საუკუნეებში. არსებული პოლიტიკური კრიზისი მისი პროგრესირების ნაყოფიერ საფუძველს ქმნიდა, ამას ემატებოდა ევროპული კაპიტალის შემოდინება მისიონერული მოღვაწეობის გასაძლიერებლად. დაიწყო და მომრავლდა კათოლიკური შინაარსის ლიტერატურა ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების სახით. ქართულ ხელნაწერ ფონდებში ინახება პაპისტური შინაარსის ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, თეოლოგიური და

სხვა მრავალრიცხოვანი ლიტერატურა. მისიონერთა მოღვაწეობამ ქართულ მწერლობაზე გავლენა ვერ მოახდინა, თუ არ ჩავთვლით სულხან-საბას „სამოთხის კარს“. აღსანიშნავია ერთი დეტალიც, ხელნაწერი, - მაშინ, როცა არ იყო მედია საშუალებები, - საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება იყო. მწერლის საუბრის ადრესატი იყო არა მარტო მისი ლიტერატურული ოპონენტი, არამედ საზოგადოება, ამიტომაც ავტორი ითვალისწინებდა საზოგადოების განსხვავებულ გემოვნებასა და პრეტენზიებს, ცდილობდა, თხზულებაში ყველა სიტყვა, ფრაზა, მოსაზრება, არგუმენტი ყოფილიყო რაფინირებული, კორექტული, აკადემიური.

საომარ ვითარებას ახასიათებს ერთი სირთულე: მოსახლეობას ზუსტად უნდა აუხსნა გარდაუვალი მსხვერპლის მოსალოდნელი გარდაცვალების მიზეზი, მიზანი და ისტორიული მნიშვნელობა, უფრო რთული ასახსნელია საზოგადოებისთვის ის საფრთხე და მისი მოსალოდნელი შედეგი, რომელიც ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში შემოდის სრული ჰუმანურობით, ლიბერალური იდეოლოგიით, ყოველგვარი ძალმომრეობის გარეშე. სწორედ ეს გახდა ქართულ მწერლობაში ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების მომრავლების მიზეზი.

უპირველესად უნდა აღინიშნოს თხზულება „ფლორენციის კრება“. ეს თხზულება არ არის პოლემიკური შინაარსის, ის კრების

დეტალურ აღწერას წარმოადგენს და ოსმალეთის სულთან მურადის, ბიზანტიის იმპერატორის იოანე პალეოლოღოსის და რომის პაპის ევგენი IV-ის პერიოდს ასახავს. თხზულებაში არაფერია ნათქვამი მიღებულ გადაწყვეტილებაზეც, მხოლოდ აღნიშნულია ბიზანტიის დელეგაციის განწყობა და ხაზგასმულია, რომ კრებაზე მიღებული შედეგის გამო ბერძნები იმედგაცრუებულნი დაბრუნდნენ კონსტანტინეპოლში. ხელნაწერის შინაარსის მიუხედავად, არსობრივად, თემატურად და იდეოლოგიურად ის ახლოსაა ანტიკათოლიკური განწყობის ლიტერატურასთან. შემორჩენილია ხელნაწერის ორი ნუსხა: 1. A-1443 და 2. Q-1391. ორივე ხელნაწერი თარიღდება მე-18 საუკუნით, შედგება მხოლოდ დასახელებული თხზულებისგან და შესრულებულია მხედრული დამწერლობით. თხზულების ავტორი ან ჩამწერი შესაძლოა იყოს ვინმე ევგენიოსი. არ არის დადგენილი, ეს ვინმე „ევგენიოსი“ ესწრებოდა კრებას, თუ შემდეგ მონათხრობის ან წყაროების საფუძველზე აღწერა კრების მიმდინარეობა. ტექსტი მოგვიანებით უნდა იყოს თარგმნილი ბერძნულიდან, რადგან ორივე ხელნაწერში კონსტანტინეპოლი მოხსენიებულია სტამბოლად, რაც 1453 წლამდე შეუძლებელი იყო, ოფიციალურად სახელიც ქალაქისთვის კონსტანტინეპოლის დაცემისთანავე არ შეუცვლიათ, ამდენად თხზულება უფრო გვიან უნდა თარგმნილიყო.

A-1443 ხელნაწერი სრულყოფილია, მინაწერის მიხედვით ხელნაწერი ეკუთვნოდა იერონიმე ალექსიევს, ხოლო ხელნაწერის ყდაზე არის მინაწერი, რომელიც მოწმობს, რომ ხელნაწერი ეკუთვნოდა ტარასი არქიმანდრიტის პაპას. ტარასი იყო ცნობილი მწიგნობრების ოჯახიდან, მათ შორის იყო ალექსი მესხიშვილი და თელავის აკადემიის რექტორი დავითი.

ხელნაწერს აქვს წინასწარმეტყველური შინაარსის მინაწერიც. ტექსტი შეიცავს იმ შედეგების შეხსენებას ან ერთგვარ გაფრთხილებას, რაც მოჰყვებოდა თურქთა მოსალოდნელ ექსპანსიას. ხელნაწერის 1 r-ზე არის შვიდი საეკლესიო კრების ცხრილი, თუ სად, როდის ჩატარდა კრება, ვინ იყო ხელმწიფე, პაპა, პატრიარქები, რომელი მწვალებლობის წინააღმდეგ იყო კრება მოწვეული, რამდენი მამა ესწრებოდა და რამდენი კანონი იქნა მიღებული. ცხრილში არის გარკვეული უზუსტობა მსოფლიო კრებების თარიღებთან დაკავშირებით.

მეორე ნუსხა, Q-1391, თავ-ბოლო ნაკლულია. ხელნაწერის ის ნაწილი, სადაც საუბარია კრების დაწყებასა და ფინალურ ნაწილზე, დაკარგულია.

ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლა, ანუ კალმასობა“, სადაც მე-2 წიგნში საუბარია შვიდ საეკლესიო კრებაზე და აღწერილია ფლორენციის კრება. ავტორი დამოკიდებულების ხაზგასასმელად კითხვა-

მიგებით ფორმას ირჩევს, რაც დამახასიათებელია მთლიანად თხზულებისთვის.

ფლორენციის კრებაა აღწერილი არჩილ მეფის ბრძანებით ნათარგმნ ისტორიულ თხზულებაში „**ხრონოლრაფი დასაბამითგან სოფლისა კოსტანტინე პალეოლოღ მეფემდე**“, რომლის თარგმნა ბერძნული ენიდან დაუწყია ბაგრატ სოლადაშვილს, გაუგრძელებია არჩილ მეფეს, როგორც თხზულების ანდერძში წერია, „ხრონოლრაფი“ მეფეს უთარგმნია ამავე თხზულების რუსული ვერსიიდან. ქართულ ხელნაწერ ფონდებში ინახება მისი რამდენიმე ნუსხა, მათ შორის უძველესი კი სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინტიტუტის კოლექციაში M-22.

ფლორენციის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხილული თეოლოგიურ-დოგმატური საკითხების საპასუხოდ დაუწერია ბესარიონ ორბელიშვილს „გრდემლიც“. როგორც აღვნიშნეთ, ფლორენციის კრების აქტების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, ქართულ ენაზე კი ჯერჯერობით არაფერი გვხვდება, თუმცა ფლორენციის კრებაზე, პოლიტიკური ქვეტექსტის მიუხედავად, სწორედ თეოლოგიური შინაარსის კამათი წარიმართა და ბესარიონს განხილულ თეოლოგიურ-დოგმატურ საკითხებზე შესაძლოა ნაკლები უზუსტობა მოსდიოდა, მაგრამ საკამათოა ერთი ისტორიული ფაქტი, ის აღნიშნავს, რომ უნიას „შეურყეველი“ წინააღმდეგობა გაუწია ოთხმა ეკლესიამ, მათ შორის რუსეთმაც. საკამათო სწორედ „დიდი

რუსეთის“ „პრინციპული“ პოზიციის ხაზგასმაა აღნიშნულ კრებაზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თხზულება XVIII ს-შია დაწერილი, როცა მუსლიმურ ალყაში მოქცეული საქართველო „დიდი რუსეთის“ იმედად რჩებოდა. შესაძლოა, ავტორმა „დიდი რუსეთი“ იხმარა არა იმპერიული ხასიათის ხაზგასასმელად, არამედ ეს შესაძლოა ყოფილიყო რუსეთის, როგორც სამეფოს დასახელება.

გრდემლის არსობრივ გაგრძელებას წარმოადგენს ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“. ანტონ კათალიკოსი „მზამეტყველების“ ანტიკათოლიკურ პოლემიკურ ნაწილს სწორედ ფლორენციის კრების მნიშვნელობის მიმოხილვით იწყებს და ამთავრებს. აქ მე-3 თავში ცალკე, მე-17 ნაწილად, არის გამოყოფილი ლათინთა მიმართ პასუხი. ძირითადად, ეს შეეხება წმინდა ზიარების საიდუმლოს. ანტონი არგუმენტაციისთვის წმინდა წერილებიდან იყენებს იმავე თავებს, რომელსაც ბესარიონ ორბელიშვილი ეყრდნობოდა. შეინიშნება მხოლოდ რედაქციული სხვაობა.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ანტიკათოლიკური შინაარსის კიდევ ერთი ნაწარმოები „**რომის განდგომილებისათვის მართლმადიდებლობისგან**“. თხზულება შედგება სამი თავისგან: 1. რომის განდგომისათვის, ვითარ განდგეს მართლმადიდებლობისაგან სარწმუნოებისა და წმინდანისაგან ეკკლესიისა; 2. მეფობასა კოსტანტინესა და

დედის მისისა ირინესსა; 3. კულად მათოსვე ლათინთა წულეებათათჳს. ხელნაწერ ფონდში შემორჩენილია ხელნაწერის ოთხი ნუსხა: Q-52, S-1596, A-1132, H-1000. არც ერთ ხელნაწერში არ არის მითითებული თხზულების ავტორი, არც ის არის ცნობილი, ორიგინალურია თუ ნათარგმნი, სავარაუდოდ მიიჩნევა, ის რუსულიდან უნდა თარგმნილიყო.

აღსანიშნავია ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხი“. თხზულებაში არ არის საუბარი ფლორენციის კრებაზე, აქ აღწერილია შვიდი საეკლესიო კრება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმები, კანონები და ლიტურგიული შინაარსი შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა, თხზულება ამ თვალსაზრისით შესაძლოა ანტიკათოლიკური შინაარსის კონტექსტში განვიხილოთ. აღსანიშნავია ისიც, ტიმოთე იყო „გრდემლის“ ერთ-ერთი გადამწერი, შესაძლოა, მან შეახსენა მოსახლეობას ეს საეკლესიო კრებები და აუხსნა მათი მნიშვნელობა, რადგანაც პოლემიკოსები კამათისას ოაბიექტურობისა და ჭეშმარიტების ხაზგასასმელად სწორედ საეკლესიო კრებების განჩინებებს იყენებდნენ.

შუა საუკუნეებში და შემდგომ პერიოდშიც შესაძლოა, საკამათო ან მისაღები იყო დასავლური პოლიტიკური ღირებულებები, მაგრამ ის, რაც საფრთხეს უქმნიდა ქართულ კულტურულ ფასეულობებსა და ერის თვითმყოფადობას,

უყურადღებოდ არ//ვერ დარჩებოდა ქართველი მოღვაწეების მხრიდან. კ. კეკელიძე აღნიშნავდა, ბ. ორბელიშვილს „გრდემლი“ დაუწერია იმ დროს თბილისში მყოფ ლათინთა მოძღვრის ფრანცისკო ბოლონიელის კაფუცინის დახმარებით, მსგავსი მოსაზრება ჰქონდა პ. კარბელაშვილსაც, ეს კი ადასტურებს განსხვავებული შეხედულებების ოპონენტთა ჯანსაღ პოლემიკას და ერთმანეთის კულტურული ღირებულებების პატივისცემას. მ. ქავთარია აღნიშნავს: *„იგი (იგულისხმება ანტიკათოლიკური თხზულება „გრდემლი“ და გარეჯში შექმნილი ლიტერატურა) უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის თხზულებაცაა, რომელმაც შეასრულა თვალსაჩინო როლი ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.“* [ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 111].

IV თავი. „გრდემლის“ ტექსტოლოგიური ანალიზი

„გრდემლი“ არის ქართულ მწერლობაში ჯერჯერობით არსებული პირველი ანტიპაპისტური ორიგინალური პოლემიკური თხზულება. ის არა მარტო ანტიკათოლიკური ტრაქტატია, არამედ ფლორენციის კრებაზე მიმდინარე პოლემიკისა და მიღებული გადაწყვეტილების სიტყვისგება. თხზულება არის სტრუქტურულად გააზრებულად, გონივრულად დალაგებული, მოიცავს ცამეტ საკითხს, რომელიც განაწილებულია ოცდათვრამეტ თავში.

პირველ თავში ზოგადად არის მიმოხილული დასახელებული პრობლემა და საუბარია იმ მწვალელობასა და მწვალეებზე, რომლებიც ქრისტიანობის, როგორც რელიგიური მიმდინარეობის, ჩამოყალიბების დღიდან იქმნებოდა. ერესების წარმოშობა, გაძლიერება და მათ მიერ ახალი დოგმატური ნორმების გავრცელება შვიდი მსოფლიო კრების მოწვევის მიზეზი გახდა. ბესარიონ ორბელიშვილი ფლორენციის კრებას მერვე საეკლესიო კრებას უწოდებს, კრებაზე განხილული თეოლოგიური საკითხებისა და მასშტაბების გამო მას შვიდ საეკლესიო კრებას უტოლებს. ამდენად, მისთვის დასავლეთის ეკლესია რელიგიურ-დოგმატური ღირებულებების, საფუძვლის გამო ერთ-ერთი ერეტიკოსთაგანია.

თხზულების ძირითადი ნაწილის თხრობას ბესარიონ ორბელიშვილი იწყებს სული წმიდის გამომავლობის, იგივე filioque-ს საკითხის განხილვით. აღმოსავლეთის ეკლესია აღიარებს სული წმიდის მამისაგან გამომავლობას, ხოლო დასავლეთმა დაუმატა - და ძისაგანაც. ეს საკითხი, ქრისტიანობის უძირითადესი დოგმა, გახდა ფლორენციის კრებაზე ერთ-ერთი უმწვავესი პოლემიკის მიზეზი. რომის ეკლესიამ მოახერხა, მომავალი ტრაგედიის შეხსენებით თუ თეოლოგიური მტკიცებულებებით, კრებაზე მონაწილე აბსოლუტური უმრავლესობა დაერწმუნებინა თავის სიმართლეში, მაგრამ იყვნენ ერთი ურჩი, მარკოზ ეფესელი და ეკლესიიდან გამოპარული

ივერიელი წარმომადგენლები, რომლებმაც არ გაიზიარეს და არც დაადასტურეს „და მისაგან“ გამომავლობა. ბესარიონ ორბელიშვილი ამ საკითხზე მსჯელობისას არ იყენებს ისტორიულ ფაქტებს, ის მსჯელობსას იყენებს ბიბლიურ წიგნებს. უპირველესად იწყებს მრწამსის შეხსენებით: *„მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, ხოლო სული წმიდა მამისაგან გამოვალს“*, მრწამსის ნებისმიერი ცვლილება კატეგორიულად იკრძალება საეკლესიო კრებების განჩინებით. ამიტომაც უმთავრესი დოგმატური ნორმის უგულუბელყოფა ბესარიონ ორბელიშვილისთვის იმ ერეტიკულ განწყობებს უტოლდება, რომლებიც საეკლესიო კრებებმა განჩინებით განკვეთეს ეკლესიის წიაღიდან. მთავარი არგუმენტი, რომელსაც ეყრდნობა დასავლეთის ეკლესია, არის იოანეს სახარების შემდეგი მუხლი: *„ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რომელი ძე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის და თქუენცა მოწამე ხართ“* [იოანე15.26]. ავტორი დასავლეთი ეკლესიის თეოლოგებს ბიბლიური წიგნების არასწორ

აღქმასა და მიკერძოებულ ინტერპრეტაციაში ადანაშაულებს და დასძენს, რომ დასავლეთის ეკლესია მკრეხელობას იჩენს და მიიჩნევს, რომ „სულსა წმიდასა სიყვარულად უკმობენ“, სიყვარული კი არის შვიდიდან ერთი სათნოება, ის არ არის „გვამი“, ვნება, მით უფრო ვნება არ არის ული წმინდა.

ფლორენციის კრებაზე მწვავე ვერ შესძლეს შეთანხმება პაპის უფლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. ვატიკანის კარს სრულიად ქრისტიანულ სამყაროსთან ჰქონდა პრეტენზია და მოთხოვნა, ელიარებინათ ვატიკანის თავის უფლებრივი სწორუპოვრობა, პაპის პრიმატობა, მოითხოვდა მიწიერ სამყაროში პაპის უცოდველობისა და ქრისტეს მოადგილედ აღიარებას. ეს „სურვილი“ იყო გამოხატული საქართველოს სამეფო კარსა და დიდებულებთან გამოგზავნლ წერილებში, ეს მოთხოვნა დააყენეს ფერარა-ფლორენციის კრებაზეც. ამ მოთხოვნას ემატებოდა მოციქულ პეტრეს აღმატებული მდგომარეობა თორმეტ მოციქულთა შორის. ამიტომაც ბესარიონი საკმაოდ ვრცლად საუბრობს და ხსნის მოციქულთა იერარქიულ თანაფარდობას, მსჯელობისას იმოწმებს წმინდა წერილებს, საეკლესიო კრებების კანონებს, წმინდა მამების ბიოგრაფიებსა და სწავლებებს, აგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებს - მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებას, გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრებას, გრიგოლ ღვთისმეტყველის შესხმას. ახსენებს გიორგი მთაწმინდელისა და ანტიოქიის პატრიარქის დისკუსიას, ბესარიონი ცდილობს ხაზი გაუსვას ქართველთა

ურყევ ხასიათს ნებისმიერი განსაცდელისას. ბესარიონ ორბელიშვილის რიტორიკაში იგრძნობა გაღიზიანება, როცა ის საუბრობს მოციქულ პეტრეს უპირატესობაზე. პაპისტთა არგუმენტი სახარებიდან [მათე 12. 15] „*შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია*“ ავტორისთვის არასწორადაა გააზრებული და ერთი მოციქულის გამორჩევა რელიგიური ესთეტიკის, ღირებულებებისა და ზოგადად, დანარჩენ მოციქულთა შეურაცხყოფაა, ამიტომ ბესარიონს უხვად მოჰყავს მაგალითი სახარებიდან, სადაც იგრძნობა მოციქულ პეტრეს მერყევი ხასიათი.

თხზულებაში საუბარია განსაწმენდელსა და „საუკუნო ჯოჯოხეთზე“, რომელსაც აღიარებენ პაპის მოსაგნი და თვლიან, რომ საუკუნო ჯოჯოხეთში „*შევლენ უნათლავნი და ურწმუნონი და აგრეთვე ქრისტიანენი უაღსარებონი და ყოველთაგან მოუქცეველნი*“; თუმცა მათი მოსაზრებით საუკუნო ჯოჯოხეთში არის ადგილი, სადაც აღსარებულნი, მაგრამ არა მონანიენი შევლენ და „*ჟამ რავმდენმე შევლენ და სრულიად გაწმენდნი გამოვლენ*“. ამგვარი მოსაზრება ავტორის აზრით, ორიგენიზმის გაგრძელებაა და ის „დიდი სქიზმის“ შემდეგ წარმოიშვა. პაპისტები არ აღიარებენ არც ქრისტეს ჯოჯოხეთში მიმოსვლას და ცოდვილი სულების დახსნას. ამ საკითხზე ფლორენციის კრებაზე მწვავე კამათი გამართულა. ბესარიონ ორბელიშვილი აღნიშნულ საკითხს რამდენიმე თავს უთმობს. ძირითადი არგუმენტები მას მოჰყავს

გრიგოლ ღვთისმეტყველის „დილოლონიდან“ და იოანე დამასკელის „მიცვალებულთა საკითხავიდან“. ეს ის დოგმატური საკითხები იყო, რაზეც დასავლეთი კატეგორიულ თანხმობას ითხოვდა კოსტანტინეპოლისა და მისი მომხრე წარმომადგენლებისგან. უნიას სჭირდებოდა „კონსესუსი“ ამ საკითხებზე.

ფლორენციის კრებაზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა განიხილეს ორ ეკლესიას შორის ლიტურგიკული - ნათლისღების, ზიარების, მარხვის, ლოცვის, ჟამისწირვის - სხვაობაც. ორი ეკლესიის სხვაობა გამოხატულია ჩვილთა და დედათა ნათვლაში, მირონცხებაში, მარხვის აღსრულებაში, ღვთისმსახურებაში, „უცომოსა და საფუვრით“ ზიარებასა და ჩვილთა უზიარებლობის წესში, საკურთხეველის განლაგებაში. ეს ის საკითხები იყო, რომელზეც რომის ეკლესია ფიქრობდა კომპრომისზე წასვლას, თუ წინამორბედ საკითხებზე უნია შედგებოდა. შესაბამისად, ბესარიონ ორბელიშვილი დეტალურად განხილავს ორი ეკლესიის დოგმატურ-ლიტურგიკულ სხვაობას, მაგრამ უფრო მცირე მოცულობით, ვიდრე ზემოთდასახელებულ საკითხთა შესახებ.

„გრდემლში“ საუბარია დასავლეთის ეკლესიის მიმდევართა კვების კულტურაზე წიგნის შემდეგ თავებში: „რომელნი ყოველსა არა წმიდასა და სჯულსა შინა დაყენებულსა ჭამადსა სჭამენ“ და „პირუტყთა შეყვანისათჳს ეკლესიათა შინა“.

ფლორენციის კრებაზე დასაწყისშივე, გეოგრაფიული ადგილის მონაცვლეობისას, ფერარადან ფლორენციაში გადატანისას, გამოიკვეთა მოსალოდნელი შედეგი, ამიტომ აღმოსავლეთის ეკლესიამ შეცვალა მიზანი, ეს არ იყო რვაწლიან პოლემიკაში გამარჯვება, არამედ ჭეშმარიტების ტირაჟირება.

დასკვნები

შუა საუკუნეების ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებების. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“, შესწავლის შედეგად მივიღეთ შემდეგი დასკვნები:

1. XVIII საუკუნემდე ქართული მწერლობა ღარიბი იყო ორიგინალური და ნათარგმნი ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულებებით. წერილობით ძეგლებში დასტურდება მხოლოდ ერთი თხზულება, ევსტათი ნიკიელის თხზულება „მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესია მათი და რადსათუს საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“, რომლის ტექსტი გამოსცა, კომენტარები და კვლევა დაურთო მან რაფავამ. თხზულება წარმოადგენს XII ს-ით დათარიღებული „დოგმატიკონის“ ნაწილს. კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ ეს თხზულება დოგმატიკონს მოგვიანებით უნდა დამატებოდა. მეცნიერის ეს მოსაზრება არავის გაუზიარებია, რადგან ევსტატი ნიკიელის მიზანიც დიდი სქიზმის თეოლოგიური გადაცდომების განეიტრალება იქნებოდა.

ფლორენციის კრების შემდეგ კი უნდა დაწერილიყო: 1. „განდგომილებისათვის რომისა, ოდეს ისინი განდგნენ მართლმადიდებლობისაგან“. შემორჩენილია თხზულების ოთხი ნუსხა, ყველა ერთი რედაქციისაა. უცნობია ავტორი და მთარგმნელი. თხზულება შედგება სამი თავისაგან, „გრდემლისგან“ განსხვავებით ავტორი განიხილავს პრობლემის ისტორიული საფუძვლებსა და მიზეზებს; 2. „ფლორენციის კრება“, შემორჩენილია ერთი რედაქციის ორი ნუსხით, ერთი თავ-ბოლონაკლულია და მეორე სრულყოფილი. თხზულება არ არის პოლემიკური შინაარსისა, აქ დეტალურადაა განხილული კრების მიმდინარეობა და მინაწერის სახით საუბარია მოსალოდნელ ტრაგიკულ შედეგებზე; 3. ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხში“ არ არის საუბარი ფლორენციის კრებაზე, აქ აღწერილია შვიდი საეკლესიო კრება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის დოგმები, კანონები და ლიტურგიული შინაარსი შვიდ საეკლესიო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოყალიბდა, თხზულება ამ თვალსაზრისით შესაძლოა ანტიკათოლიკური შინაარსის კონტექსტში განვიხილოთ. აღსანიშნავია ისიც, ტიმოთე იყო „გრდემლის“ ერთ-ერთი გადამწერი, შესაძლოა, მან შეახსენა მოსახლეობას ეს საეკლესიო კრებები და აუხსნა მათი მნიშვნელობა; 4. ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველება“, სადაც მესამე თავის მეშვიდე ნაწილი

წარმოადგენს პოლემიკურ ნაწილს პაპისტების წინააღმდეგ; 5. იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლა, ანუ კალმასობა“. თხზულების II წიგნში საუბარია შვიდ საეკლესიო კერებასა და ფლორენციის კრებაზე, ამ უკანასკნელ საკითხზე თხრობა მიმდინარეობს კითხვა-მიგებითი ფორმით; 6. ფლორენციის კრებაა აღწერილი არჩილ მეფის ბრძანებით ნათარგმნ ისტორიულ თხზულებაში „ხრონოღრაფი დასაბამითგან სოფლისა კოსტანტინე პალეოლოღ მეფემდე“; 7. ბ. ორბელიშვილის „გრდემლი“, რომელიც ავტორს XVIII საუკუნის 20-იან წლებამდე, აღსაყრდებამდე, უნდა დაეწერა. ამ თხზულებაზე დასკვნა ქვემოთ, ცალკეა წარმოდგენილი.

2. ბესარიონ ორბელიშვილი იყო XVIII ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, რომელმაც ხელი შეუწყო გარეჯის სკოლის აღორძინებასა და განახლებას. აღადგინა მონასტრის განადგურებული წიგნადი ფონდი, თავადაც იყო მწიგნობარი, მისი მონაწილეობით შეიქმნა „პროლოგ-სვინაქსარი“, თავადაც იყო ავტორი ორიგინალური აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ლიტურგიკული შინაარსის თხზულებების, მათ შორის დაუწერია „ქეთევან დედოფლის წამება“, ბახტრიონის გმირების, ლუარსაბ მეფისა და სხვა ქართველი მოღვაწეების ცხოვრება და ღვაწლი, ის იყო მომგებელი. ჩვენთვის უცნობია, იყო თუ არა მთარგმნელი. რაც მთავარია, მას ეკუთვნის ვრცელი ანტიპაპისტური ტრაქტატი „გრდემლი“.

მწიგნობრული, შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა ბესარიონ ორბელიშვილი იყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, აქტიურად იბრძოდა ტყვეთა სყიდვისა წინააღმდეგ მწყემსთავრობამდე და აღსაყდრების შემდგომაც. მართლია, არ მოიაზრებოდა ვახტანგ VI თანამზრახველთა შორის, მაგრამ სწორად აფასებდა მეფის როლსა და მნიშვნელობას, ცდილობდა საქართველოდან წასული ვახტანგ VI-ის დაბრუნებას. სადავოა, მისი აღსაყდრებისა და გარდაცვალების თარიღები. ამ საკითხებზე განსხვავებულია მკვლევრების მოსაზრებები.

3. ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“ შემორჩენილია ორი რედაქციის – მოკლე და ვრცელი - თორმეტი ნუსხით, აქედან ერთი S-254 არის თხზულების მოკლე რედაქცია, დანარჩენი თერთმეტი (A-119, 156, 298, 1395, 1591, 1791, S-1596, 3269, Q-92, გიესმ-№114 (ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) K-№130 (ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახემწიფო ისტორიული მუზეუმი), ვრცელი რედაქცია. აქედან ერთი A-1591 არასრულია, შეიცავს ოცდაექვს თავს.

4. „გრდემლი“, როგორც ავტორი შესავალშივე აღნიშნავს, ანტიპაპისტური ვრცელი პოლემიკური თხზულებაა, თუმცა თხზულების ტექსტოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბესარიონ ორბელიშვილის ანტიკათოლიკური თხზულება ეგზეგეტიკური მიმართულების ნორმებს შეიცავს. თხზულებაში

ვრცალადაა მიმოხილული ფლორენციის კრებაზე განხილული საკამათო თეოლოგიური საკითხები: აზრთა სხვადასხვაობა სულიწმინდის გამომავლობაზე, ანუ ე.წ. filioque-ს საკითხთან დაკავშირებით; პაპის უფლებრივი პრიმატობის აღიარება საეკლესიო იერარქიაში; განსაწმენდელის, როგორც შუალედური საფეხურის, არსებობა; ზიარების საიდუმლოს, ხმიადისა თუ უფუარით ზიარება; ნათლისღების განსხვავებული ლიტურგიკული მიმდინარეობა, მათ შორის დედათა უფლებრივი სხვაობა ნათლიღების აღსრულებისას; ლოცვის, მარხვის სხვადასხვაგვარად აღსრულება; მსჯელობა ყოფილა ტაძარში საკურთხევლის ადგილთან დაკავშირებით და ტაძარში ცხოველთა შეყვანაზეც კი. ბესარიონ ორბელიშვილის არგუმენტაცია ძირითადად ემყარება ბიბლიურ წიგნებს, წმიდა მამათა მოსაზრებებსა და საეკლესიო კრებების აქტებს. ბესარიონი თხრობისას ცდილობს, ახსნას თითოეული განსხვავება, ამიტომაც ვთვლით, რომ თხზულება ეგზეგეტიკურ ჟანრსაც განეკუთვნება.

ბესარიონ ორბელიშვილის სურვილი დასავლური კულტურის უგულებელყოფა ან დაკნინება არ ყოფილა, მისი მიზანი იდეოლოგიური, თეოლოგიური სხვაობის აღნიშვნა იყო, რომელმაც ავტონომიური ეთნოკულტურული სახეც მიიღო, „გრდემლიც“ სწორედ ტრადიციად ქცეული თეოლოგიური, ყოფითი, კულტურული ღირებულებების დასაცავად და ხაზგასასმელად დაიწერა.

სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებული სტატიების ნუსხა

1. **მეგენეიშვილი 2019** - მეგენეიშვილი ნინო, წყაროებში დაცული ცნობები ბესარიონ ორბელიშვილის შესახებ, ელ. ჟურნალი „სპეკალი“, 12, 2019, ელ. ვერსია: <http://spekali.tsu.ge/index.php/ge/>.
2. **მეგენეიშვილი 2019** - გარეჯული ხელნაწერი მემკვიდრეობა, გულანი, 22, 2019, გვ. 94-123
3. **მეგენეიშვილი 2019** - ანტიკათოლიკური პოლემიკური ლიტერატურა შუა საუკუნეების ქართულ მწერობაში, ქრისტიანულ-არქეოგრაფიული ძიებანი, XI, 2019, გვ. 427-476
4. **მეგენეიშვილი 2019-2020** - მეგენეიშვილი ნინო, ქართულ ხელნაწერებში დაცული ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, 28(13), 2019, გვ. 151-177, ელ.ვერსია: <http://kartvelologi.tsu.ge/bublic/ge/>.
5. **Megeneishvili 2021** – Megeneishvili Nino, Textological-codicological analysis of Besarion Orbelishvili „Grdemli“, DergiPark, Karadeniz Uluslararası Bilimsel Dergi, vol. I, 51, p. 199-209, Online: [http:// degipark.org.tr/tr/pub/kdeniz/issue/64945](http://degipark.org.tr/tr/pub/kdeniz/issue/64945).
6. **მეგენეიშვილი 2021** - მეგენეიშვილი ნინო, „კრება ფლორენციისა“ - ტექსტის პუბლიკაციისთვის, გადაცემულია დასაბეჭდად გულანი, 24, 2021

Samtskhe-Javakheti State University
Faculty of Education, Humanities and Social Sciences

Doctoral program of Georgian Philology

Manuscript copyright proteqted

Nino Megeneishvili

**CODICOLOGICAL-TEXTOLOGICAL ANALYSIS
OF BESARION ORBELISHVILI „GRDELMI“**

Synopsis

of the dissertation submitted in partial fulfilment for the Degree
of Doctor of Philosophy in Philology

Akhaltsikhe

2021

Dissertation work was completed at Samtskhe-Javakheti State University, Faculty of Education, Humanities and Social Sciences and Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts of Georgia

Scientific Supervisor:

Nestan Sulava – Doctor of Philology, Professor

Official opponents:

Dali Betkhoshvili - Doctor of Philology, Associate professor

Nana Chikvatia - Doctor of Philology, Chief Scientist of Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

Apolon Tabuashvili - Doctor of History, Associate professor, Chief Scientist of Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts

The defense of the thesis will be held at **November 5, 2021, 13:00**, at the session of the Dissertation Committee of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences of Samtskhe-Javakheti State University.

The dissertation thesis is available at the Scientific Library of Samtskhe-Javakheti State University.

The chair of the Council of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences of Samtskhe-Javakheti State University, Doctor of Philology, Professor **Maka Beridze**

General Description of the Dissertation Work

Importance of the issue and novelty of the research

